საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01/08/2024

1/308

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა“ (შემდგომ - სამოქმედო გეგმა) თანდართული დანართის შესაბამისად.

2. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულმა სამინისტროს სისტემის დანაყოფებმა უზრუნველყონ ამ ბრძანებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადაში შესაბამისი აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამინისტროს სისტემის დანაყოფებმა უზრუნველყონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 2025 წლის I კვარტალში დასრულება.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს - ალექსანდრე დარახველიძეს.

6. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის

2024 წლის სამოქმედო გეგმა

მიზანი 1.		**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამართალწარმოებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**							
ამოცანა 1.1.		**სამართალწარმოების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება**							
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/ უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	**შესრულების ანგარიში**
1.1.1	შშმ თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა	**1.1.1.1**	ჩატარებულია მინიმუმ 2 სამუშაო შეხვედრა	შეხვედრის ოქმი	შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	
1.1.2	გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან და არასრულწლოვან პირთა ეფექტური ჩართულობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების შესახებ სასწავლო მოდულის შემუშავება	**1.1.2.1**	შემუშავებულია სასწავლო მოდული	შემუშავებული სასწავლო მოდული	სსიპ - შსს აკადემია	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	

მიზანი 2.		მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება							
ამოცანა 2.1.		საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავების ზედამხედველობა და მათი განხორციელების მხარდაჭერა							
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	შესრულების ანგარიში
2.1.1	მონიტორინგი უწყებრივ და მუნიციპალურ საგანგებო მართვის გეგმებში შშმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების გათვალისწინების კუთხით	2.1.1.1.	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, შშმ პირთა საჭიროებების ჭრილში შესაბამისი - დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანგებო მართვის გეგმების შეფასება.	შეთანხმებული დოკუმენტები და შესაბამისი დასკვნები	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
2.1.2	კონსულტაციების გაწევა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე (შშმ პირთა საკითხების გათვალისწინების კუთხით ინფორმაციის მიწოდება) და სამსახურის მიერ ორგანიზაცია/დაწესებულებების საგანგებო მართვის გეგმების შეთანხმება.	2.1.2.1	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შშმ პირთა საჭიროებების ჭრილში შესაბამისი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანგებო მართვის გეგმების შეთანხმება.	შეთანხმებული დოკუმენტები და შესაბამისი დასკვნები	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
2.1.3	მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, მათ შორის შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით.	2.1.3.1.	ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტებში.	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა	

2.1.4.	შშმ პირთა სწავლება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან - საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებისა და საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზების საკითხებზე სწავლებების ჩატარება.	2.1.4.1.	სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საბაზისო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, რესურს სკოლებში შშმ ბავშვებისთვის ტრენინგების ჩატარება.	ტრენინგების შესახებ მომზადებული ანგარიშები	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
2.1.5.	შშმ ბავშვების ცნობიერების ამაღლება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესებთან დაკავშირებით; ევაკუაციის ღონისძიებების პრაქტიკული სწავლება/სიმულაციური ვარჯიში.	2.1.5.1	რესურს სკოლებში შშმ ბავშვებისთვის საგანგებო სიტუაციებისას ქცევის წესის შესახებ თეორიული და პრაქტიკული სწავლებების ორგანიზება. საინფორმაციო ბროშურების ხელმისაწვდომობა	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი დონორული მხარდაჭერა	
მიზანი 3.	**სამინისტროს სერვისებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**								
ამოცანა 3.1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებაზე მორგებული კომუნიკაციისა და ინფორმაციაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა**								
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	**შესრულების ანგარიში**
3.1.1.	საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან საკომუნიკაციო ბროშურების შემუშავება	3.1.1.1			შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი		

მიზანი 4.		სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა საჭირო უნარების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის							
ამოცანა 4.1.		სამინისტროს მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადება							
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	შესრულების ანგარიში
4.1.1	სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება.	4.1.1.1	გადამზადებულია სასაზღვრო პოლიციის 250 თანამშრომელი.	შიდაუწყებრივი ანგარიში; დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სასაზღვრო პოლიცია		2024 წელი		
4.1.2	საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების თაობაზე გადამზადება	4.1.2.1.	გადამზადებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის 25 თანამშრომელი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“	სსიპ - შსს აკადემია	2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
4.1.3	მეხანძრე-მაშველთა მომზადება საგანგებო სიტუაციების დროს შშმ პირებთან სწორი კომუნიკაციის სტანდარტების, ასევე, სამაშველო ღონისძიებების განხორციელებისას სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინების შესახებ;	4.1.3.1.	კურსი გავლილი აქვს 250 მეხანძრე-მაშველს	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს სსდ სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	2024 წელი	შსს სსდ სსიპ - ს რეზერვებისა დ უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციუ რესურსი	
4.1.4.	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოპერატორების მომზადება შშმ პირებთან სწორი კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ	4.1.4.1.	შესაბამისი სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობის შესაბამისად	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს სსდ სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	2024 წელი	შსს სსდ სსიპ - ს რეზერვებისა დ უსაფრთხოების სააგენტოს ადმინისტრაციუ რესურსი	

4.1.5.	სამართალდამცავთა გადამზადება შშმ პირთა უფლებებსა და კომუნიკაციის სტანდარტებში.	**4.1.5.1.**	გადამზადებულია 100 პოლიციის თანამშრომელი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ შსს აკადემია	შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	2024 წელი		
4.1.6	გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვან და არასრულწლოვან პირთა ეფექტური ჩართულობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების შესახებ სასწავლო მოდულის მიხედვით, ტრენერთა ტრენინგის ჩატარება	**4.1.6.1**	ჩატარებულია ტრენერთა ტრენინგი და გადამზადებულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 10 თანამშრომელი და შსს აკადემიის 10 ინსტრუქტორი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ - შსს აკადემია	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	
4.1.7.	ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე ცნობიერების ამაღლების შეხვედრების განხორციელება ქალებისა და გოგონების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით, ეროვნული ან/და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და შშმ ქალებისთვის.	**4.1.7.1.**	განხორციელდა არანაკლებ 3 შეხვედრა		შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი		
4.1.8	ცნობიერების ამაღლება სამინისტროს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის შშმ პირებთან კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების თაობაზე	**4.1.8.1**	ჩატარებულია ტრენერთა ტრენინგი (TOT) და გადამზადებულია არაუმეტეს 100 თანამშრომელი, რომელთა უშუალო მოვალეობას წარმოადგენს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და განმცხადებელთან კომუნიკაცია	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი		

4.1.9.	შშმ ქალების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავებისთვის ტრენინგების ჩატარება	**4.1.9.1**	შშმ ქალების სამართალწარმოებაზე მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სამართალდამცავებისთვის ჩატარებულია მინიმუმ 2 ტრენინგი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	
4.1.10	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირებთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტებზე.	**4.1.10.1**	გადამზადებულია დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 40 მოსამსახურე შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტებზე.	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	შსს აკადემია	2024 წელი	ადმინისტრაციულ რესურსი	
4.1.11	შსს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება შშმ პირთა იდენტიფიკაციისა და მათთან კომუნიკაციის საკითხებზე	**4.1.11.1**	მომზადებულია/გადამზადებულია შსს მიგრაციის დეპარტამენტის მინიმუმ 10 თანამშრომელი	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	შსს მიგრაციის დეპარტამენტი	შსს აკადემია შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი	ადმინისტრაციულ რესურსი	
4.1.12	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების მომზადება/გადამზადება ჟესტურ ენაში კომუნიკაციის მიმართულებით	**4.1.12.1**	მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტისა და რეგიონალური დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს 11 თანამშრომლის, რომელნიც ფლობენ ჟესტურ ენას, გადამზადება	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	

		4.1.12.2	მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის 6 თანამშრომლის, რეგიონალური დეპარტამენტის გორის სამმართველოს 3 თანამშრომლის, თელავის სამმართველოს 3 თანამშრომლის, ახალციხე-ახალქალაქის სამმართველოს 3 თანამშრომლის, ქუთაისის სამმართველოს 3 თანამშრომლის, საჩხერე-ამბროლაურის სამმართველო 3 თანამშრომლის, ფოთის სამმართველოს 3 თანამშრომლის, ზუგდიდის სამმართველოს 3 თანამშრომლის, ბათუმის სამმართველოს 3 თანამშრომლის, ოზურგეთის სამმართველოს 3 თანამშრომლის ჟესტურ ენაში კომუნიკაციის მიმართულებით მომზადება	დასწრების აღრიცხვის ფურცელი	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო	შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	
მიზანი 5.		**არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის უზრუნველყოფა**							
ამოცანა 5.1.		**შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის ადაპტირება**							
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი დანაყოფი**	**პარტნიორი დანაყოფი/უწყება**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	**შესრულების ანგარიში**
5.1.1	სამინისტროს არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლა/აუდიტი და შენობა-ნაგებობების ადაპტირება ან უნივერსალური დიზაინით უზრუნველყოფა	**5.1.1.1.**	სამინისტროში არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილი შესწავლილია, გამოვლენილია საჭიროებები და ნაწილი ადაპტირებულია ან უზრუნველყოფილია უნივერსალური დიზაინით	შიდაუწყებრივი ანგარიში	ლოჯისტიკის დეპარტამენტი		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	

5.1.2	შსს ადმინისტრაციული შენობის შშმ პირების საჭირობებთან სრულად ადაპტირების გეგმის პროექტის შემუშავება	**5.1.2.1**	გეგმის პროექტი შემუშავებულია		ლოჯისტიკის დეპარტამენტი		2024 წელი		
5.1.3	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს რეგიონალური დეპარტამენტის ახალციხე-ახალქალაქის, ქუთაისის და ოზურგეთის სამმართველოებში ფიზიკური სივრცის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომობა ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურის შესაბამისად მოწყობა	**5.1.3.1**	პანდუსებზე დამაგრებულია ე.წ ანტისლიპერები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
		5.1.3.2	სხვადასხვა ფლიგელთან მისასვლელ კიბეებზე, კიბის მთელი საფეხურის კიდეზე და საფეხურის მთელ სიგანეზე დამონტაჟებულია დაცურების საწინააღმდეგო კონტრასტული მეტალის ან რეზინის კანტები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
		5.1.3.3	შენობებში შესასვლელ კარებებს დამაგრებულია შუშის უსაფრთხოების სტიკერები, ან შუშის მანიფესტაციები (მოჭიქული უბნების ხაზგასასმელად)	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
		5.1.3.4	ცენტრალური ფლიგელის შესასვლელში საინფორმაციო დაფა (ბრაილის შრიფტით) განთავსებულია	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	

		5.1.3.5	გარე პერიმეტრზე არსებული ყველა კიბის მოაჯირი ადაპტირებულია	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
		5.1.3.6	მცირემხედველთადა უსინათლოებისათვის დაგებულია ტაქტილური ბილიკები როგორც შენობის შიგნით, ასევე შენობის შესასვლელებთან	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
		5.1.3.7	დამონტაჟებულია შესაბამისი საინფორმაციო მითითებები	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
5.1.4	ხულოს, ბორითისა და ონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი (მშენებარე) შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის უზრუნველყოფა	5.1.4.1	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მშენებარე შენობა-ნაგებობის (ხულოს, ბორითისა და ონის) მისაწვდომობა უზრუნველყოფილია	ახალი შენობების არქიტექტურული პროექტები შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
5.1.5	იგეგმება ბაკურიანში, შუახევსა და ფოთში ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლებიც ადაპტირებული იქნება შშმ პირების საჭიროებებზე	5.1.5.1	ბაკურიანში, შუახევსა და ონში დაგეგმილი მშენებარე შენობა-ნაგებობის პროექტებით გათვალისწინებულია მისაწვდომობის უზრუნველყოფა	შენობების არქიტექტურული პროექტები შიდაუწყებრივი ანგარიში	სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	2024 წელი	ადმინისტრაციულ რესურსი	
5.1.6	სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეგიონალურ სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობებში პანდუსების მოწყობა	5.1.6.1	დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო-სვანეთის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა და შიდა ქართლის დანაყოფებში პანდუსების მოწყობა.	შიდაუწყებრივი ანგარიში	სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი		2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	
5.1.7	დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირება	5.1.7.1	ადაპტირებულია დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა -ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორი (განყოფილება) შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად.		დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი	ლოჯისტიკის დეპარტამენტი	2024 წელი	ადმინისტრაციული რესურსი	

მიზანი 6.		სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა							
ამოცანა 6.1.		კომუნიკაციის გაუმჯობესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან							
აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი დანაყოფი	პარტნიორი დანაყოფი/უწყება	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	შესრულების ანგარიში
6.1.1.	შსს-სთან მოქმედი შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრების ჩატარება	6.1.1.1.	ჩატარებულია მინიმუმ 3 საკონსულტაციო შეხვედრა შშმ პირების, მათი წარმომადგენლობით ი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით	შიდაუწყებრივი ანგარიში	შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	შსს საერთაშორისო დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	
6.1.2.	შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო ღონისძიების ჩატარება შშმ თემის მონაწილეობით	6.1.2.1.	ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრა შშმ თემთან შშმ სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე	შიდაუწყებრივი ანგარიში	შსს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი	შსს საერთაშორისო დეპარტამენტი, შსს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2024 წელი	დონორული მხარდაჭერა	